645
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 3 მარტი 1958

# Государственный заслуженный



# Ансамбль народного танца Грузии



მ. გორკი—გრავიურა
ლ. შენგელიასი.

## ნომერშია


სიცოცხლე იმარჯვებს.

●

რომ აღარ იყოს ომი...

●

იხარე ჭერო!

●

«დედის ხელი»—მოთხრობა.

●

წერილი ქართველ მეტალურგ ქალებზე.

●

მოთხრობები პატარებისათვის.

●

მარად უჭკნობი.

●

ქართველი ქალების ურთიერთობა პარიზის კომუნარებთან—წერილი.

●

იაპონური ზღაპრები.

●

უტექსტო ხუმრობა.


„მე აროდეს მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში (თბილისში) გადავდგი პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც აი უკვე ოთხათეული წელია მივდივარ... საფიქრელია სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ, მისი ხალხის რომანტიულმა სილბომ—სწორედ ამ ორმა ძალამ—მომცა ბიძგი და მაწანწალა ლიტერატორად მაქცია“.

**მაქსიმ გორკი.**

# სიცოცხლე იმარჯვებს



ღია კაკაბაძე

როცა კი გამოჩნდებოდა, თითქოს ცა გაიხსნა და მზე შემოვიდაო. დაბინდულ თვალებში სხივი დგებოდა, ბაგე ღიმილში იშლებოდა, გახურებულ შუბლს ალერსიანი ხელი აგრილებდა, სასთუმალის ქვეშ ტკბილეული ინახებოდა. და ყველასთვის ჰქონდა რაიმე—ან ახლობლებისაგან მოწერილი წერილი, ან ყოჩივარდას პატარა კონა, ან გახუმრება. უკვირდათ: როგორ ეტეოდა ამდენი საზრუნავი პატარა ქალში მაინც ეტეოდა და ამიტომ, როცა კი გამოჩნდებოდა, მზე იცინოდა.

იმ დღესაც ჩამოიარა და ყველა საწოლი შეირხა, მხოლოდ ერთი არ განძრეულა. ქალი კარებთან შედგა და ყველასთვის გაიღიმა, ცისფერთვალა ია, ხელში რომ ეჭირა, მისი თვალების ფერს ეჯიბრებოდა. მიაჩერდნენ. ყველა თავის ჯერს ელოდა. იგი კი მხოლოდ ერთთან მივიდა—ვისი საწოლიც არ შერხეულა. იები წყლიან ჭიქაში ჩადო, იქვე ჩამოუჯდა და ახლა მხოლოდ მას გაუღიმა.

და შეტოკდა საწოლი, მწოლიარე იდაყვს დაეყრდნო, თითქოს პირველად ნახაო, გაოცდა—ტუჩის კუთხეებს მწუხარების ხაზი დაჰკრავდა, იმედიანი თვალების იქით სევდიანი თვალები იცქირებოდა. მოტყდა, ბალიშზე გადაწვა და წარმოიდგინა:

პატარა, ნაზი ქალი ყოველდღე ელის ქმრის წერილებს ფრონტიდან. ამაოდ. იქნებ ეს ლოდინი არასოდეს დასრულდეს? ან იქნებ სადმე, საველე ჰოსპიტალში მის სახელს ლოცვასავით იმეორებენ? ამან კი არაფერი იცის. სუსტია და მწუხარებას მაინც ერევა, მარტო თავისას კი არა, ვაჟკაცებისასაც.

— ექიმო,—კალთაზე ხელი წაავლო,—გამიყვანეთ!

მხოლოდ მაშინ შეუტოკდა ხელი, როცა დაჭრილის მოკვეთილი ფეხი დაბლა დავარდა. შეშფოთდა, იქნებ ასევე მოკვეთა სიყვარული? იქ, უკრაინაში ამ ვაჟკაცს ნაწნავებიანი გოგონა უყვარდა, ხეებზე დანის წვერით მის სახელს ჭრიდა, გრძნობაში კი ვერ უტყდებოდა, რიდი ჰქონდა ჭაბუკს. ერთხელ, სასურველის სახელის უკანასკნელ ასოს რომ იყვანდა, ქალიშვილი წამოადგა თავს, სიყვარულის ახსნა თავისთავად მოხდა, უსიტყვოდ. ახლა ეს ვოგონა ელის მის დაბრუნებას და ის კი არ იცის, რომ ხეიბარი ჩაუვა.

ხელები უკანკალებდა ექიმს, ისე, როგორც სულ პირველი ოპერაციის გაკეთებისას. და გაკვირვებულმა ექთანმა რომ ინსტრუმენტი მიაწოდა, მოეჩვენა თითქოს მის გვერდით ქმარი იდგა და ეუბნებოდა:

— არა გრცხვენია, სოფიო?

ასე დასჩემდა სოფიოს—როცა რაიმე გაუჭირდება, ქმარს წარმოიდგენს. ის შველის, მისი ცხოვრების მეგობარი. ჰგონია, ყოველთვის გვერდით ჰყავს და ხან სამდურავად თავს გადააქნევს, ხან გასამხნევებლად თვალს ჩაუკრავს. და აი, რატომ:

სიყვარულის პირველი დღეები ჰქონდათ, როცა ყვარელში ჩავიდნენ—ერთი ექიმად, მეორე—მასწავლებლად.

— ეს გოგო ჩვენ არ გამოგვადგებაო,—თქვეს მაშინ ზოგიერთებმა ყვარელში და საავადმყოფოსაკენ ალმაცერად გაიხედეს.

იმავე ღამეს სოფიოს შეწუხებული გლეხი მიუყვანეს—ელენთა ჰქონდა გახეთქილი. ოპერაცია საჩქარო იყო. ერთი წუთით მის თავში აირია ყველაფერი, რაც აქამდე იცოდა. იხსენებდა სახელმძღვანელოებს, ფიქრით ფურცლავდა იმ ადგილს, სადაც ელენთას შესახებ ეწერა. შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მუხაძის კლინიკაში ჩატარებული ოპერაციები წარმოუდგა და ბოლოს, პროფესორთან გამოთხოვება:

— შენი იმედი მაქვს, ჩემო სოფიო!

გონება გაუნათდა, ყველაფერი დალაგდა თავში. ახლა მხოლოდ ერთი აწუხებდა—საავადმყოფოში შუქი არ იყო. აქ ქმარი მიეშველა,—არა გრცხვენია, სოფიო?—სინათლე ხელით დაუჭირა. პირველი გამარჯვება. საკუთარი ძალის პირველი რწმენა.

ყვარელელები ამბობდნენ—ჩვენისთანა ექიმი არავის ჰყავსო...

* * *

თბილისს ეძინა და არც ეძინა. რა დააძინებდა, როცა ჰოსპიტლებში დაჭრილები კვნესოდნენ, როცა ადამიანები მათ მოვლაში ათენებდნენ, როცა სხვა ქალაქებში ყუმბარები სკდებოდა. არა და, როგორ არ დაეძინა, ხვალისათვის ხომ ძალა უნდა მოეკრიბა, მეომარ ძმა-ქალაქს მიშველებოდა. თბილისს ნახევრად ეძინა.

სოფიო კი ვინ იცის, მერამდენე ღამეს ათევდა.

მის სანახავად შევიდა, დილით რომ ფეხი მოკვეთა. დახუჭული თვალები დახვდა, მშვიდი სუნთქვა და კარგი მაჯა. იმედიანად გამობრუნდა, ხვალ დილით ეტყვის, რომ მისიანებს წერილი მისწერა, მალე მისი სანატრელი მასთან იქნება.

უკან ჩუმად დაძახებაზე მოახედა. ავადმყოფს როდი ეძინა, მოსატყუებლად მოეხუჭა თვალი. ერთი სათხოვარი მაქვსო,—შეეხვეწა,—თქვენს შესახებ მიამბეთო. და უარი ველარ უთხრა.

მარიამ ბუაჩიძეს ქმრის სიკვდილის შემდეგ შვიდი შვილი დარჩა—ოთხი ვაჟი და სამი ქალი. ბავშვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ და ხარაგოულელმა გლეხის ქალმა თოხი აიღო ხელში. ისეთები დაიზარდნენ შვილები, მტერსაც კი შეშურდებოდა.

უფროსი ვაჟი სოსო (თეიმურაზი) რევოლუციური მოძრაობის მონაწილე და მტკიცე ბოლშევიკი იყო. დანარჩენი ძმებიც მის გზას გაჰყვნენ. ოთხივე ვაჟს უმაღლესი განათლება მიაღებინა მარიამმა.

ბოლშევიკი შვილების დედა თვითონაც პარტიის რიგებში შევიდა. და ხარაგოულში რომ კოლმეურნეობა შეიქმნა. ეს უმარიამოდ არ მომხდარა. სამი ქალიშვილიდან ერთი აგრონომი ჰყავდა მარიამს, მეორე—ინჟინერი, მესამე, სოფიო კი—ექიმი.

ორდინატურა რომ გაიარა, სოფიო ცოლად გაჰყვა გიორგი გუნიას და რაიონში წავიდა სამუშაოდ...

რა მოხდა? აგერ, მეზობელ საწოლზე დაჭრილი წამომჯდარა და მისჩერებია. თუმც ჩუმად ყვებოდა თავის ამბავს ექიმი, მაგრამ, ჩანს, მას ყველაფერი გაუგია. მერე და რა უკვირს?

— მაშ, თქვენ გიორგი გუნიას მეუღლე ხართ? ის ხომ ჩემთან ერთად იბრძოდა...

როცა ბედნიერი სოფიო პალატიდან გადიოდა, ქმრის კომისარმა კანფეტებიანი კოლოფი გაუწოდა.



— აილეთ, დღეს ხომ ქალთა დღეა.
1942 წლის 8 მარტი თენდებოდა.

* * *

ექიმის ბინაზე ტელეფონი მარტო დღისით როდი რეკავს, ღამითაც. და როცა პროფესორ სოფიო ბუაჩიძესთან რეკავენ, თუმც ძალიან ცდილობს იგი ოჯახის წევრებმა არ გაიღვიძონ, მაინც ყველანი წამოიშლებიან. ჩვეულებისამებრ, ქმარი საავადმყოფომდე გაცილებას სთავაზობს. გოგონა კი—9 წლის მარინე მანამ არ მშვიდდება, სანამ დედა ოპერაციიდან არ დაბრუნდება და კარგ ამბავს არ მოიტანს.

... გათენებისას დაბრუნდა სოფიო შინ და მის ლოდინში ჩაძინებულ ბავშვს დახედა. ასე მშვიდად დაძინებული დასტოვა სამი წლის ზურიკოც, რომელსაც ეს ეს არის ჩაჭედილი ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა.

უძილო თვალებში სიმშვიდე ჩადგომოდა სოფიოს. იცოდა, დილით შვილი რომ გაიღვიძებდა, ჰკითხავდა:

— როგორ არის ის პატარა ბიჭი?

და დედას შვილის არ შერცხვებოდა.

საცაა დილა ჩამოდგება ქალაქში. დაძინება აღარა ღირს. სოფიო სამუშაო ოთახში გადის, მაგიდასთან ჯდება და დღევანდელ დღეზე ფიქრობს: დღეს ფილტვის ექინოკოკის ოპერაციას გააკეთებს, შემდეგ სტუდენტებთან ლექციას ჩაატარებს. ახალგაზრდა სპეციალისტებიც ელიან, რომლებიც საკანდიდატო შრომაზე მუშაობენ და მისი დახმარება სჭირდებათ. ვინ იცის, იქნებ კიდევ უეცარი, საჩქარო ოპერაციაც იყოს. საღამოს ხულოში მიემგზავრება თავის ამომრჩევლებთან შესახვედრად, რომლებმაც უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. შეხვდება და რას ეტყვის? თავის ქებას ხომ არ დაიწყებს, რომ მუშაობის დიდი ძალაც აქვს და ბევრის გაკეთების სურვილი? არა. რასაც გააკეთებს, მერეც ნახავენ. იციან კი ამომრჩევლებმა მისი ცხოვრების შესახებ?

ტყუილად ფიქრობდა სოფიო, რომ არ იცოდნენ.

47 მეცნიერული შრომის ავტორია მათი რჩეული. წითელი ვარსკვლავის ორდენი და სამი მედალი აქვს მიღებული. ოჯახის კარგი დედაა, სტუდენტების საყვარელი პედაგოგი, ამხანაგების ახლო მეგობარი, ნათესავების გულშემატკივარი.

ახლა ავადმყოფებს არ ჰკითხავთ? ისეა მათთვის თავდადებული, თითქოს ყველანი ახლობლები იყვნენ.

**და ისიც იციან ხულოელებმა, რომ დღე რა არის, ყოველი დღის ყოველი წუთი სოფიოსათვის მღელვარებაში გადის. მაგრამ რას მიქვია მღელვარება, როცა სიცოცხლე იმარჯვებს, როცა ხედავ, რომ შენმა პატარა, ნაზმა ხელებმა სიკვდილი დაამარცხეს.**

# რომ ყველა იყოს ასე...

მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის მოძრაობამ ფართოდ მოიცვა ჩვენი პლანეტა, აგრესიული ძალების წინააღმდეგ აღსდგნენ ადამიანთა მილიონები. კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის მჭიდროდ ირაზმებიან აზიისა და აფრიკის ხალხები. ამ ორი დიდი კონტინენტის ხალხთა ნება-სურვილი და მისწრაფება მთელი სისრულით გამოხატა ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებულმა კაიროს კონფერენციამ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ამ გრანდიოზულ ასამბლეაზე წარმოდგენილი იყო 45 ქვეყანა—კაცობრიობის ნახევარზე მეტი.

«მშვიდობა», «ხალხთა მეგობრობა»—აი მთავარი იდეა ეგვიპტის დედაქალაქში შემდგარი კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა. კონფერენციის მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს იმპერიალიზმი, ერთხელ კიდევ ჩამოხადეს ნიღაბი მისი სამხედრო ბლოკების აგრესიულ ხასიათს.

... ხალხების ძალა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ატომგულის ბომბების ძალა. მას შეუძლია მოსპოს ატომური ომის მუქარა... აზია და აფრიკა მშვიდობის ზონა უნდა იყოს, სადაც არ იქნება ატომგულისა და რაკეტის იარაღი...—ჩაწერილია განიარაღებისა და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში.

კონფერენციამ შექმნა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მუდმივი საბჭო, რომელმაც 2 მარტი ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლის დღედ გამოაცხადა.

მთელი მოწინავე კაცობრიობის აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს ფრანგი კოლონიზატორების მოქმედება თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლი ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. სოლიდარობის მუდმივმა საბჭომ 30 მარტი ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერის დღედ გამოაცხადა.

ეს გადაწყვეტილება მხურვალედ მოიწონეს მთელი მსოფლიოს მშრომელებმა, ქალებმა, რომლებიც გამსჭვალული არიან უდიდესი თანაგრძნობით თავისი ალჟირელი დებისა და ძმების მიმართ. ისინი მოითხოვენ შეწყდეს ალჟირელი ხალხის სისხლისღვრა, ნება მიეცეს მას თვითონვე გადასწყვიტოს თავისი ბედი.

კონფერენციის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაეთმო ქალისა და ბავშვის საკითხს. მათზე ზრუნვა ყოველი სახელმწიფოს ერთერთ უმთავრეს მოვალეობად იქნა გამოცხადებული.

კონფერენცია, რომელიც ძმური სოლიდარობისა და მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, უდიდეს როლს შეასრულებს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში, აზიისა და აფრიკის ხალხებს გაუღრმავებს მომავლის რწმენას, ძალებს შემატებს საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

# ნაბიჯები

(მ ო გ ო ნ ე ბ ა)

ახლა, როცა საბჭოთა კავშირის თავისუფალი და ბედნიერი ქალები ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს აღნიშნავენ, მოგონებებს წარსულში გადავყავარ, თვალწინ წარმომიდგება ის დღეები, როცა საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის ქალები პირველ ნაბიჯებს დგამდნენ თავიანთი განთავისუფლების გზაზე.

მახსოვს, როგორი ზეიმით აღინიშნა 8 მარტი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ორი კვირის შემდეგ. ეს იყო ქალთა პირველი მასობრივი გამოსვლა თბილისში, რომელიც გრანდიოზულ მანიფესტაციაში გადაიზარდა.

— მხოლოდ დღეს ვიგრძენით, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, დღეს გავიგეთ თუ რას აკეთებს ჩვენთვის საბჭოთა ხელისუფლება...—მღელვარედ ამბობდნენ ტრიბუნიდან მუშა ქალები. და მართლაც, ეს დღე მშრომელ ქალთა ცხოვრებაში ჭეშმარიტად ბედნიერი დღე იყო.

8 მარტი ამიერკავკასიაში უფრო ფართოდ 1922 წელს აღინიშნა, როცა ქალთა განყოფილებებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს. ამ დღესასწაულს ზეიმობდნენ არა მარტო ქალაქებში, არამედ სამაზრო ცენტრებშიც. ყველგან იმართებოდა კონფერენციები.

იმ წელს დიდი ზამთარი იყო. თოვლმა შეკრა გზები, მაგრამ ყველაზე შორეული კუთხეების დელეგატმა ქალებმაც კი მოახერხეს ჩამოსულიყვნენ კონფერენციებზე.

მაგონდება თბილისის კონფერენციაზე გამოსული ერთერთი დელეგატის სიტყვები:—ჩვენ გაჭირვებით ვიკაფავდით გზას ღრმა თოვლში. ასე მოვაღწიეთ ამ საზეიმო კრებამდე. ასევე გადავლახავთ ყველა სიძნელეს და გასაჭირს ჩვენი განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე და მივალთ ბედნიერ დღეებამდე.

კონფერენციის დელეგატმა მუსულმანმა ქალმა ჩადრი მოიხსნა და თქვა: მე ვიცილებ ჩადრს, მაგრამ ამ ჩადრის უკან ჩვენ გვაქვს მეორე, უფრო სქელი ჩადრი, რომელშიც საუკუნეების მანძილზე სთვლემდა ჩვენი სული. ეს ჩადრია უმეცრება. მისი მოცილება არც ისე ადვილია. ამიტომ მე პირველ რიგში მოვითხოვ — გვასწავლოთ წერა-კითხვა. მხოლოდ მაშინ დავაღწევთ თავს სიბნელეს და ახალ, ნათელ გზაზე გამოვალთ.

თანდათან მაღლდებოდა ქალთა მასების შეგნებულობა და აქტივობა, ქალები ფართოდ გამოდიოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

ქალთა საერთაშორისო დღის ზეიმი 1923, 1924 წლებში ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით — ამაღლდეს მშრომელ ქალთა კულტურისა და განათლების დონე, გაუმჯობესდეს მათი საყოფაცხოვრებო პირობები, გაიხსნას საბავშვო სახლები, სამშობიარო განყოფილებები, სამკერვალო სახელოსნოები, პროფსკოლები, საფეიქრო სახელოსნოები, კლუბები, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები...

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდნენ მშრომელ ქალთა კულტურული დონის ასამაღლებლად, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ფართოდ ჩაბმისათვის.

შემდეგ წლებში სისტემატურად იმართებოდა ქალთა საქალაქო, სამაზრო, რაიონული კონფერენციები. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნების მშრომელი ქალები—ქართველები, რუსები, სომხები, მუსულმანები, იეზიდები... ისინი იგონებდნენ წარსულის ჯოჯოხეთურ დღეებს, ეროვნული შუღლის, ძმათახოცვის დღეებს, ჰფიცავდნენ განემტკიცებინათ ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა, მაღლა ჭეროდათ მშვიდობის დროშა.

ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ მშრომელმა ქალებმა მხურვალედ აიტაცეს პარტიის ლოზუნგი: გახსოვდეს და შეასრულე ლენინის ანდერძი! ისინი ამბობდნენ: მშვიდად იძინე, ძვირფასო ილიჩ, ჩვენ ვივლით შენს მიერ დასახული გზით.

და სწორედ, 1925 წელს 8 მარტის დღესასწაული, სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინადადებით, ჩატარდა, როგორც საერთო პროლეტარული, პოლიტიკური კამპანია. იგი მიზნად ისახავდა დაერაზმა ქალთა უფართოესი მასები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო შემდეგი ლოზუნგით — მუშა და გლეხო ქალებო, ამიერკავკასიის მშრომელნო! გახსოვდეთ მშრომელთა ბელადის ანდერძი, იარეთ ლენინის გზით, უფრო შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები!

ამ დღეებში გაძლიერდა კლასობრივად შეგნებული მუშა და გლეხი ქალების ლტოლვა პარტიაში შესასვლელად, ქალიშვილები შედიოდნენ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში.

ასე მიდიოდა დღეები...

... და თუ შევადარებთ პირველ ნაბიჯებს, რასაც ქალები თავიანთი განთავისუფლების გზაზე დგამდნენ, იმას, რაც დღეს გვაქვს, როცა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ქალი მამაკაცის მხარდამხარ და თანაბრად შრომობს საბოლოო მიზნის მისაღწევად, ნათელი გახდება — რა მისცა დიდმა ოქტომბერმა ქალებს— მშრომელებს.

**ნინო ალაჯალოვა,**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის წევრი 1902 წლიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# იხარე ჭერო...

მ. თავბერიძე.

ფოტო ლ. აბაშიძისა.

დღეს მამულაშვილების ოჯახში დიდი ზეიმია. უფროსი ვაჟი ზაური ესტუმრათ ჯარიდან. ყველას მონატრებია იგი, ყველაზე უფრო კი პატარა ვაჟას, შემოეჭდო კისერზე და კოცნის, კოცნის საყვარელ ძმას. დინჯად ილიმება ოჯახის უფროსი სერგო მამულაშვილი, ზაური მას თავის ახალგაზრდობას აგონებს. ცრემლებს დაუნამავს ლურჯი თვალები ოჯახის ბურჯისათვის—ცხრა შვილის დედისთვის. მარო მამულაშვილი შესცქერის თავის პირმშოებს და გული, დედის მგრძნობიარე გული, უსაზღვრო სინაზით ივსება. ოთხი ქალი და ხუთი ვაჟი—ერთი მეორეზე უკეთესები... რამდენი უძილო ღამე, რამდენი შიში გამოუვლია მას. ბავშვები, ოჯახი, სამსახური, პირდაპირ სასწაულია, სასწაული! იგი ყველაზე ადრე ეგებება განთიადს და იძინებს ყველაზე გვიან. სიცოცხლე და სიხალისე უკრთის მარადჟამს ლურჯ თვალებში... და ფუსფუსებს ფართო და ნათელ ოთახებში ქართველი მანდილოსანი. ბავშვები უკვე მოზრდილები ჰყავს, მაგრამ დედა ერთ წუთსაც ვერ აცილებს მათ თვალს... მარო არც კი ფიქრობდა ქორწინებაზე, როცა სერგო მამულაშვილს პირველად შეხვდა. სერგოს სიდინჯემ, შრომისმოყვარეობამ, მტკიცე ნებამ მოხიბლა მარო. მას თავისი მეუღლის სჯეროდა, სწამდა... სწამდა მაშინაც, როცა სერგო ერთი ხურჯინი თიხით მოსკოვს წავიდა და ბევრს ეცინებოდა ამის თაობაზე... მაშინ მამულაშვილები ქობულეთში ცხოვრობდნენ, სერგო და მარო კერამიკის სახელოსნოში მუშაობდნენ. მარო თავისი ბავშვებით ელოდა, ელოდა მის შინ გამარჯვებით დაბრუნებას.

დაბრუნდა და თან ჩამოიტანა სასიხარულო ამბავი ქართული თიხის მაღალი ხარისხის შესახებ და სერგო ორჯონიკიძის დანაბარები სალამი... ამ ამბავს დღესაც სიამოვნებით იგონებენ მამულაშვილების ოჯახში და დასძენენ ხოლმე, რომ სერგოს მიერ ქობულეთში (სოფელ ცეცხლაურსა და ჯიხანჯურში) აღმოჩენილი თიხის მარაგი მთელ ამიერკავკასიას ასი, ასოცი წელი ეყოფაო—ასე დაასკვნა 30-იან წლებში გამოკვლევაზე ჩამოსულმა ლენინგრადის გეოლოგიურმა პარტიამ. ამის შემდეგ აშენდა აგურ-კრამიტის ქარხნები ქობულეთში, ბათუმსა და ოჩხამურში.

ახლა სერგო მამულაშვილი არტელ ინქიმკომბინატში მუშაობს, მასთანაა მისი მეუღლე მარო და უფროსი ქალიშვილი ციალაც. ლამარა ხელოვნებამ გაიტაცა, კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე სწავლობს. ანზორი ქარხანაში მუშაობს საღამოს სკოლის მეცხრე კლასშია, ნელი მეშვიდეში, გურამი მეექვსეში, ნუნუ მეხუთეში, ოთარი მეორე კლასშია. ცეროდენა ვაჟა კი არ სწავლობს—მისთვის ჯერ ადრეა სკოლა. დიახაც, სიამოვნებს მაროს მასწავლებლებთან შეხვედრა. ბავშვები კარგად სწავლობენ. კარგი ქცევისანი არიან. სიამაყით ივსება დედის გული. რა ნეტარება განაცდევინა ნუნუს ნაბიჯმა! უცხო ენათა ინსტიტუტის ლექტორი ნეიმანი თვით ეახლა მაროს და პირადად უთხრა მადლობა...

... დილით, ლექციაზე მიმავალ ნეიმანს საფულე დაჰკარგოდა, საფულეში საბუთების გარდა 500 მანეთიც ყოფილა. ნეიმანი შეწუხებულა, მაგრამ მალე დაბრუნებია მას დანაკარგი. ორ, თეთრბაფთიან გოგონას ჩაუბარებია იგი პატრონისათვის. სკოლაში მიმავალთ ეპოვათ ფალიაშვილის ქუჩაზე. ერთ-ერთი ამ გოგონათაგანი ნუნუ მამულაშვილი აღმოჩნდა, და, როცა ნეიმანმა გაიგო, რომ მაროს ნუნუს გარდა კიდევ რვა შვილი ჰყავდა—ბარაქალა, ქართველო ქალოო!—შეაქო,—სახელოვანი წინაპრებისათვის მიგიბაძავსო,—უთხრა...

საღამოს, როცა ყველანი თავს მოიყრიან და ერთურთს დღის განცდილს უყვებიან, ღიმილით შესცქერის მათ მარო და იკვანძება დედის ფიქრები შვილებზე,

მომავალზე,

სიცოცხლეზე...



# ზღვის ხელი



თ. ჩხაიძე

მოთხრობა

— ზაზა და მზია დღეს თუ ხვალ ხელს მოაწერენო,— ამბობდა ყველა. მაგრამ უცებ ხმა გავარდა ზაზამ მზიას ზურგი შეაქციაო, ისე, უმიზეზოთო. იმასაც ამბობდნენ— მათ გაშორებაში დედის ხელი ურევიაო.

ზაზა მართლა ჩავიდა დედასთან სოფელში, თავისი განზრახვა გაანდო. სიხარულით შესცქეროდა დედა ზაზას—ქვრივობაში გამოზრდილ ვაჟკაცს.

— მომესწრარი, შვილო, მთელ სოფელში თავი მომწონს. ყველა მეუბნება შვილი ექიმი გყავს, სასძლოც უცხო ენების მცოდნე, პროფესორის ერთადერთი ქალიშვილი, რა დიდებულიაო, მე კი გული მიკანკალებს, ვაი თუ არ მიკადროს უბრალო კოლმეურნე ქალი.

— აჰ, აჰ, დედი, ეგ არ თქვა! მზია ისეთი უბრალოა, ისეთი თავმდაბალი!—და მოყვა ზაზა მზიას ქება-დიდებას.

დედა კი საქმეს შეუდგა: კეცებს შუა ვარიებს წვავდა, ხაჭაპურებს აცხობდა, თან ორომზე ალაგებდა—ეს შენთვის და შენი გულის ტოლისთვისო.

ბოლოს მჭადი გამოაცხო. ისეთი, ზაზას რომ უყვარდა, თხელი, სიფრიფანა.

— ეს საკუთრივ შენია, პატარძალს არ ეკადრებაო,— თქვა სიცილით და სახელდახელოდ სუფრა გაუშალა,— რაკი არ იცდი, რა გაეწყობაო.

მრავალჯერ დალოცა დედამ შვილი, ბედნიერება უსურვა, მრავალი კოცნა-მოკითხვა დააბარა სასძლოსთან. სულ ჩქარა სადგურისაკენ მიმავალ ზაზას სერიდან დედა თეთრ თავსაფარს უქნევდა და თვალებზე მომდგარ ცრემლებს თავის გაქნევით ფანტავდა.

* * *

ეჩქარება, ძალიან ეჩქარება ზაზას მზიასთან! იმიტომაც ეჩვენება მატარებლის სვლა ასე ნელი. «მიზოზინობს,»—ფიქრობს და ფანჯარას თვალს აშტერებს. ნათლად ხედავს ზაზა ფანჯრის მინაში მზიას მცინარ სახეს, წაბლისფერ კულულებს, თაფლისფერ თვალებს. «მოვდივარ, მზია, მოვდივარ, მომაქვს დედის ლოცვა, დედის ძღვენიც!»

დედის გახსენებამ საგზალი მოაგონა და ჩანთიდან მჭადი ამოიღო, ის იყო უნდა გაეტეხა, რომ დედის ხელი შენიშნა, მჭადზე ნათლად აღბეჭდილი. ალბათ, განგებ დააჩნია დედამ ცომზე ასე ნათლად, ასე მკაფიოდ თავისი ხელი, ზაზას გაუხარდებაო...

სიყვარულით დასცქერის ზაზა მჭადზე აღბეჭდილ დედის ხელს. ასე ჰგონია, თითქოს მჭადი კი არა, ფაიფუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რის თეფში ეჭიროს ხელში. ეშინია არ გაუვარდეს, არ გაუტყდეს. აჰ, ნეტავი მართლაც თეფში იყოს, კედელზე დასაკიდი თეფში, ცისფერი გრეხილით ჩამოჰკიდებდა.

ამ ფიქრით დაეძინა ზაზას და ამ ფიქრითვე გაეღვიძა უკვე თბილისის სადგურზე. უცებ გადაწყვიტა პირდაპირ მზიასთან წასულიყო.

* * *

— ა-ა, ზაზა!—ხედავ, როგორ მომტაცა დედაშენმა შენი თავი?—შესძახა მზიამ ჭირვეულად და თითი დაუქნია.

— რას ამბობ, მზია?!—გაიკვირვა ზაზამ და ნატიფი ხელები დაუკოცნა.

მშვენიერი იყო ცისფერ პიჟამოზე თეთრ ხალათწამოსხმული მზია, ზაზას მოაგონდა თეთრი თავსაფარი, სერიდან რომ ფრიალებდა დედის ხელში.

— აჰა, დედამ გამოგიგზავნა!—უთხრა ზაზამ და შეკვრა მიართვა. მჭადიც ამოიღო ხელჩანთიდან.

— იცი, მზია, მჭადიც გამომატანა, დახე, დედის ხელი, ჩემი დედის ხელი როგორ ნათლად აღბეჭდილა მჭადზე...

— რა ბავშვი ხარ, რა დიდი ბავშვი ხარ, ზაზა!—გაიცინა მზიამ ცივად. შემდეგ ისევ გაუღიმა ჩვეული მომხიბლავი ღიმილით და ტკბილად უთხრა:

— მაშ, ამ საღამოს მოგელით, მოხვალ, ოქროვ, ხომ?

— ჰო! აბა რა გამაძლებინებს უშენოდ, ჩემო...

— მიუგო ზაზამ და გარეთ გაფრინდა. რამდენი საქმე ჰქონდა საღამომდე მოსაგვარებელი, აჰ, რამდენი!?

* * *

მიიჩქაროდა ზაზა შინისკენ. იქვე, მზიას სახლთან ახლოს სოფლის ბიჭი გადაეღობა.

— ენძელა, ენძელა, არა გსურთ?

— ძალიანაც!—მიუგო ზაზამ სიცილით, ენძელები ჩაიმუჭა და მზიას სახლისკენ იბრუნა პირი.

სწრაფად მიდიოდა ზაზა, მიჰქონდა ენძელები, მზიას ხალათივით და დედის თავსაფარივით თეთრი ენძელები.

აი, მზიამაც გააღო კარი. ეზოს ძაღლს ლუკმა გადაუგდო.

— მზია!—უნდა დაუძახოს ზაზამ, მაგრამ ვერ ასწრებს, კარი იხურება. ზაზა ეზოში შედის, კიბეზე არბის. ახლავე დარეკავს და კვლავ იხილავს თავის მზიას...

უცებ ზარისაკენ წაღებული ხელი გაუშეშდა. ენძელები საფეხურებზე გაიფანტა...

— უ-უ-უ-ხ!—აღმოხდა ზაზას.

ძაღლი მჭადს ჭამდა, იმ მჭადს, ზაზას დედის ხელი რომ იყო აღბეჭდილი...

ამის შემდეგ ხმა გავარდა ზაზამ მზიას ზურგი შეაქციაო, ისე სულ უმიზეზოდ. იმასაც ამბობდნენ, მათს გაყრაში დედის ხელი ურევიაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი მეტალურგი ქალები

ა. კოჭლავაშვილი

ოდესღაც, უძველესი მეტალურგები ფიქრობდნენ, რომ ლითონის გამოდნობა რაღაც ღვთაებრივ ძალაზე იყო დამოკიდებული. დახელოვნებული ოსტატიც კი, მუშაობის დაწყებამდე, მეტალურგებისათვის დადგენილ რელიგიურ წესებს ასრულებდა. ამ წესების მიხედვით ქალს ეკრძალებოდა არა მარტო მეტალურგიულ სარეწაოში მუშაობა, არამედ მის მახლობლად გავლაც—ღვთაება შეგვრისხავს და ლითონი დაგვიზიანდებაო.

ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება ქართველ მეტალურგთა ცხოვრებაში უცნობია. პირიქით, დადგენილია, რომ ქართველი ქალი ძველთაგანვე მჭიდროდ ყოფილა მელითონეობასთან დაკავშირებული. ხანდაზმული რაჭველების გადმოცემით—«ქალი და კაცი ამით იყო დამაშვრალებული და ერთობ დიდი ჯაფა ადგათ.» ზემო სვანეთში მცხოვრები ცენდელიანის ქალი დახელოვნებული ოქრომჭედელი ყოფილა. სვანეთის მოსაზღვრე ჩერქეზეთის პირველ მჭედელს ხელობა თავისი სვანი რძლისაგან შეუსწავლია.

ძველ საქართველოში მეტალურგია დიდად ყოფილა განვითარებული და ამაში ქართველ ქალებსაც უეჭველად თვალსაჩინო • წვლილი ედოთ. სამწუხაროდ, ეს უმნიშვნელოვანესი დარგი, გარეშე მტრების მიერ ქვეყნის ხშირი დარბევის შედეგად, უკანასკნელ საუკუნეებში მნიშვნელოვნად დაკნინდა. მისი აღდგენა მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი, და უნდა ითქვას, რომ ამ საქმეშიც ქართველმა ქალებმა თავიდანვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ჭიათურის ძვირფასი მადანი წინათ უცხოელებს გაჰქონდათ. ჩვენი მადნიდან ფოლადის წარმოებისათვის საჭირო ფერო-მანგანუმს საზღვარგარეთ ამზადებდნენ და შემდეგ ოქროს ფასად ჩვენზევე ჰყიდდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე დაისვა საკითხი ზესტაფონში ფერო-მანგანუმის ქარხნის აგების შესახებ. ვიდრე ქარხანა აიგებოდა, საჭირო გახდა წინასწარი ცდების ჩატარება. ამ მიზნით თბილისში (დიდუბე) სასწრაფოდ აშენდა პატარა საცდელი ქარხანა, რომელსაც ცნობილი ქართველი მეცნიერი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. ამ ქარხნის პატარა კოლექტივში თავიდანვე მუშაობა და წყო პირველმა ქართველმა ინჟინერმა მეტალურგმა ქალმა ლიზიკო ნადირაძემ.

მუშაობის სირთულის მიუხედავად, საცდელი ქარხნის კოლექტივმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია და ელექტროღუმელში ფერო-მანგანუმი გამოადნო, რითაც ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩასწერა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიის ისტორიაში და, რაც მთავარია, ხელი შეუწყო ზესტაფონში ფერო-შენადნობთა წარმოების განვითარებას. ლიზიკო ნადირაძე ამ თვალსაჩინო მიღწევის აქტიური მონაწილე იყო.

საცდელ ქარხანაში მუშაობის პარალელურად ლიზიკო თავის კოლეგებთან ერთად ცხოველ მონაწილეობას იღებს ზესტაფონის ქარხნის მშენებლობაში. მალე იგი ზესტაფონში გადადის და სხვა საბჭოთა ინჟინრებთან ერთად მუშაობს გერმანული ფირმის მიერ ქარხნის დაპროექტებაში დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად.

ზესტაფონის ქარხნის მშენებლობაზე მამაკაცებთან ერთად დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ ქალები. ქარხნის მშენებლობა დამკვრელ ობიექტად გამოცხადდა და ორიოდე წლის შემდეგ, 1933 წლის ოქტომბერში ზესტაფონის ქარხანამ გამოადნო ქართული ფერომანგანუმი.

ლიზიკო ნადირაძემ რამდენიმე წელი დაჰყო ზესტაფონის ქარხანაში. ეს იყო ყველაზე რთული წლები ქარხნის ისტორიაში. საქმის ღრმა ცოდნამ და შრომისმოყვარეობამ ინჟინერ ქალს საყოველთაო სიყვარული და ავტორიტეტი მოუპოვა. 1936 წელს, როდესაც საქართველოს მშრომელთა დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა, დელეგატთა შორის ლ. ნადირაძეც იყო. იგი კრემლში მხურვალედ მიესალმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

როცა რუსთავში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დაიწყო, იქ მივლინებულ ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის ლ. ნადირაძესაც ვხედავთ. აქ ის რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობს, ხელს უწყობს ქარხნის მშენებლობა-მონტაჟს და ქართველი მეტალურგების აღზრდას.

ახლა ლ. ნადირაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მოღვაწეობს, მეტალურგიის მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ამუშავებს, მონაწილეობს მეტალურგიის ქართული ტერმინოლოგიის დამუშავებაში, უშუალო დახმარებას უწევს მეტალურგიულ ქარხნებს.

1931 წელს დიდუბის საცდელ ქარხანას პრაქტიკანტად მოევლინა ქართველ მეტალურგთა მეორე თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი—თამარ ახობაძე. აქ ის მალე დაწინაურდა, როგორც მეტალურგი. დიდუბის ქარხნიდან თამარი ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში მიავლინეს გამოცდილების მისაღებად და ზესტაფონის ქარხნისათვის კადრების მოსამზადებლად. თ. ახობაძე ჩელიაბინსკის ქარხანაში სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებდა. მალე მას ოსტატის თანაშემწედ აწინაურებენ, რაც იოლად მისაღწევი როდი იყო, განსაკუთრებით ქალისათვის.

1933 წელს თ. ახობაძე კვლავ დიდუბის ქარხანას უბრუნდება, ახლა უკვე ცვლის უფროსად, შემდეგ ზესტაფონში გადაჰყავთ მშენებლობის ტექნიკურ განყოფილებაში, იქიდან მუშათა ტექნიკური სწავლების ხელმძღვანელად, ოსტატთა მოსამზადებელი კურსების დირექტორად. მაგრამ ინჟინერი ქალი წარმოებისაკენ მიისწრაფვის და მალე მას ვხედავთ სადნობი საამქროს ცვლის უფროს ინჟინრად, ხოლო შემდეგ ამავე საამქროს უფროსის მოადგილედ. ამჟამად თ. ახობაძე ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილებას ხელმძღვანელობს. ამასთან ერთად თამარი ქარხნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

ქართველ მეტალურგ პიონერ ქალებს—ლ. ნადირაძესა და თ. ახობაძეს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მარტო ზესტაფონის ქარხანაში ახლა მუშაობს ოთხასამდე ქალი—მეტალურგები, ელექტრო-ქიმიკოსები, ქიმიკოსები და სხვანი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ინჟინერ-მეტალურგი ნეოლინა ქათამაძე, რომელმაც ენერგიული შრომით ინჟინრის ყველა საფეხური განვლო და ახლა ერთერთი წამყვანი საამქროს უფროსის მოადგილეა.

ავჭალასთან პირველ ხუთწლედში აგებულ მეტალურგიულ ქარხანაში რამდენიმე ასეული ქალი შრომობს. ბევრმა ახალგაზრდა ქართველმა ქალმა აქ მიიღო პირველი საინჟინერო წრთობა, ხოლო უნიჭიერესმა მარო კეკუამ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც მოიპოვა და ახლა მოსკოვის საკვლევ ინსტიტუტში წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანა-გიგანტში ქალთა რაოდენობა ათასობით განისაზღვრება. ისინი მუშაობენ თუჯისა და ფოლადის გამოდნობაზე, მილების გლინვაზე, კოქსის ბატარეებთან, ელექტროსადგურში, ლაბორატორიებში, საპროექტო ბიუროებში და სხვა.

ქალის შრომა ფართოდ არის გამოყენებული საქართველოს იმ ქარხნებშიც, სადაც თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმა წარმოებს, ბევრი მეტალურგი ქალი მუშაობს საკვლევ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მეტალურგიულ ტექნიკუმში.

საპატიო ადგილი უჭირავთ ქართველ ქალებს რესპუბლიკის მეტალურგიულ წარმოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში 1958

... ვერავითარი ქება, ვერავითარი ეპითეტი ვერ გამოხატავს იმ უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას, რომელიც მაყურებელს ბალეტმა „ოტელომ“ განაცდევინა...

დიდების ღირსია ქართველი ხალხი, რომელმაც შექმნა ასეთი მაღალნიჭიერი, მარად დასამახსოვრებელი ბალეტი.

მაია პლისეცკაია,
რსფსრ სახალხო არტისტი.

... შექსპირის გენიის ცეცხლმა გაამუქა ქორეოგრაფიის ქართველ ოსტატთა ხელოვნება ვახტანგ ჭაბუკიანის მეთაურობით, ახლებურად აღგვაქმევინა ოტელოს, დეზდემონას და იაგოს სახეები...

ნიკოლოზ ვოლკოვი,
„იზვესტია“.

... ბალეტი „ოტელო“ არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა საბალეტო ხელოვნების სიამაყეა.

არამ ხაჩატურიანი,
კომპოზიტორი.

... საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ფენომენი — ვახტანგ ჭაბუკიანი შეუდარებელია ოტელოს როლში.

ვერა მარეცკაია,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.







„ქარიშხლიანი წელი“. სცენა I მოქმედებიდან.

... ვ. ი. ლენინის სახეს სპექტაკლში ანსახიერებს კ. მიუფკე. მის მიერ წარმოსახული ლენინი ადამიანური, უბრალო და ბუნებრივია.

ს. ასენინი.

... ბალეტმა „გორდამ“... ჭეშმარიტი სიხარული განაცდევინა როგორც ფართო მაყურებელს, ისე ჩვენ — პროფესიონალებს.

მ, პლისეცკაია,
რსფსრ სახალხო არტისტი.

...ძე“. სცენა II მოქმედებიდან.





... ჩვენ... ჯავ...
ვიცანით უქრობ...
გიკული ტალანტ...
რიკო ანჯაფარი...

ან. გრებნ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი ოიდიპოსი

ე. მანჯგალაძე





ა. ხორავა

ს. ზაქარიაძე





— სამი ოიდიპოსი ერთ თეატრში! პირველი, მანჯგალაძე — ჰეროიკა ანტიკური კულტურისა, თავისი ბრწყინვალე შესრულებით; მეორე, ზაქარიაძე — მოუსვენარი, მგრძნებარე, ტემპერამენტიანი მემატიანე სოფოკლეს ტრაგედიისა, მომხიბლავი თავისი განცდებითა და ტრაგიზმით, ხოლო მესამე, ხორავა — მონუმენტური ქანდაკება ოიდიპოსისა, სულჩადგმული და აყლერებული გენიალური ანტიკური მოქანდაკის მიერ.

ვაშა ასეთ თეატრს, ასეთ ერს!

პროფესორი დ. ბეჟოვი.

# წაიკითხეთ პატარებს

ანა ხახუტაშვილი

## ოთარმა ანუგეშა

ნოდარი აივნის კიბეზე იჯდა და შოკოლადს შეექცეოდა. სად იყო და სად არა, ოთარიც იქ გაჩნდა და მეგობარს გვერდით მიუჯდა, ნერწყვმორეული პირი ააწკლაპუნა და ბოლოს მოთმინება რომ დაკარგა, ნეკის წვერი უჩვენა ნოდარს და სთხოვა:

— აი, ერთი ბეწო მომიგლიჯე. მამაჩემი რომ მოვა, კანფეტებს რომ დიდი ჩანთით მოიტანს, მე უფრო მეტს გაჭმევ. ნოდარი კიდისაკენ გაჩოჩდა, პირიდან შოკოლადი გამოიღო და ბუზღუნით უთხრა:

— შენ გაწყენს, ოთარ! დახე რა შავია! იცი, რა მწარეა?!—ნოდარმა კიდეც გადააფურთხა, რომ შოკოლადის სიმწარე დაედასტურებინა. ხელის განძრევაზე სველი შოკოლადი თითებიდან გაუსხლტა და იქვე კიბის ქვეშ მწოლარე ძაღლის წინ დაეცა. ძაღლმა წამოიწია, შოკოლადი დასუნა, ეგემრიელა და გადასანსლა.

ნოდარი სატირლად მოიღუშა.

— არ იტირო, ნოდარ, შოკოლადი ხომ მაინც მწარე იყო, გაწყენდა და ძაღლს აწყინოს ისა სჯობია,—ანუგეშა ოთარმა.



თამარ ორჯონიკიძე.

## ნია და ია

— აი, ია!—უჩვენებდა ნია დიდედას წიგნში თითით იას, თან ტიტინებდა:

— ლურჯია? მწვანე კაბა აცვია? როდის მოვა ია?

— გაზაფხულზე!—ეუბნებოდა დიდედა.

— გაზაფხული როდის მოვა?

— როცა ზამთარი გავა.

— როცა ზამთარი გავა?

და ნია გასძახოდა ზამთარს:

— წადი, წადიო!

დადგა დრო და თოვლი დადნა, წავიდა ტირილ-ტირილით. ნიაც ატირდა—ია სადღა არიო?

— ნაკადულთან!—უთხრა დიდედამ, წაიყვანა და უჩვენა.

— აი ია, ნამდვილი ია!

— ია, ია!—გაუხარდა ნიას. დაიხარა და დაჰყნოსა. შემდეგ მოეფერა ნაზად, ნაზად, ერთი თითით.

ია კი თავს უკრავდა ნიას—სალამიო, სალამიო.

განა მხოლოდ ნიას, ნაკადულსაც თავს უხრიდა: სალამიო, ბალახებსაც, ენძელასაც, ყოჩივარდასაც. ნიაც უკრავდა იმათ თავს, თან ჩუმად, ჩუმად ამბობდა — გაზაფხულია, იმიტომაც მოვიდა ია.



აგნია ბარტო

## სიმართლე

მამამ სკამზე დამსვა და მითხრა: «იცოდე, შენ პატიოსანი და პირდაპირი ადამიანი უნდა გაიზარდო, ისეთი ვაჟკაცი, რომ ყველას პირში უთხრა სიმართლე. და ისეთი მელაკუდა არ უნდა იყო, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი უფროსი ამხანაგი ფედოროვი.» დედაც დაეთანხმა, რომ არ შეიძლება ისეთი ვიყო, როგორც ფედოროვია, რომ თუ მისი შვილი ფედოროვს დაემსგავსა, მაშინ უმჯობესია დედამ ახლავე თავი დაიღრჩოს. და მეც დავპირდი დედ-მამას, რომ ყოველთვის ყველას სიმართლეს ვეტყოდი.

მხატვ. ვ. ქოქიაშვილი





მაშინ მათ სასეირნოდ გამიშვეს. როცა ეზოდან დავბრუნდი, დედა შინ არ იყო. მე გადავწყვიტე ყინული მოვმეტეხა ფანჯრის რაფაზე, ცოტა ჩამეწუწნა, მერე კი დედისთვის პირში მეთქვა, რომ ყინული შევჭამე. მაგრამ ამ დროს ტელეფონმა დაიწკრიალა. მე ყურმილი ავიღე და ჩავძახე: «ალო!.. სახლში არავინ არაა... ვინ კითხულობს?» იქ კი ძია იყო, მან მიპასუხა: «შენ მე არ მიცნობ, მე ფედოროვი ვარ.» მე კი ვუთხარი, რომ ფედოროვს კარგად ვიცნობ, რომ ის მამას უფროსია და ყოველთვის მელაკუდობს, და თუ მე მას დავემსგავსები, დედაჩემი თავს დაიღრჩობს.

ფედოროვს ჯერ გაუკვირდა, მერე კი დიდი მადლობა მითხრა. მან სთქვა:

— როგორც იქნა, სიმართლე გავიგე. გმადლობ, ბიჭიკო!

როცა მამა შინ დაბრუნდა, მე ვუამბე, როგორ ვისაუბრე ფედოროვთან, თუ რა საშინლად გაეხარდა და როგორი მადლობა მითხრა სიმართლისათვის. მაგრამ მამამ უეცრად ხელი თავში იტაცა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დამიყვირა: «როგორ გაბედე? შენ ხომ ყელი გამომჭერი. აბა, ახლა როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან?! ვინ მოგცა ნება ასეთი რამ გეთქვა ჩემი უფროსისათვის?»

დედამ კი ტირილი დაიწყო და სთქვა— თავს დავიღრჩობო...



**ნადეჟდა შალუტაშვილი,**

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ქართველ ხალხს იმთავითვე ასე სჩვევია: ვინც უყვარს, მას გულთან იახლოვებს, მხოლოდ სახელით იხსენიებს. შოთა, აკაკი, ილია ვაჟა, უშანგი—ყველამ იცის ჩვენში, ვინ იგულისხმება ამ ძვირფას სახელებში:

— ვერიკო, ვერიკო!..—ისმის ხალხის ჩურჩული ყველგან, სადაც კი სახელოვანი მსახიობი გამოჩნდება. მის დანახვაზე თქვენს თვალწინ გაიელვებენ ვერიკოს მიერ შექმნილი მხატვრულად სრულყოფილი სახეები, ღრმა განცდის ჟრუანტელი რომ აღგვიძრეს ოდესღაც გულში.

ათი წლის ბავშვმა პირველად შედგა ფეხი თეატრში და თეატრმა იგი სამუდამოდ დაატყვევა.

**„ხეები ზეზეულად კვდებიან“. ეუხენა,**



ვერიკო ანჯაფარიძემ ორგანულად შეითვისა ქართული სცენის ოსტატთა ტრადიციები— ემოციურობა, რომანტიკული პათოსი, დახვეწილი პლასტიკა, მადლიანი ქართული.

პირველსავე როლებიდან ნათელი გახდა ახალგაზრდა მსახიობის უდაო ნიჭი, მისი მხატვრული თავისებურება, რომელიც უაღრესად ინდივიდუალურია და ვერავითარ მიმბაძველობას ვერ ითმენს—მეტყველების მუსიკალობა, მოძრაობის იშვიათი რიტმულობა და სინატიფე, თამაშის უშუალობა და გულწრფელობა, ლირიზმი, შეუდარებელი სცენური მიმზიდველობა.

როგორც ყველა დიდ შემოქმედს, ისე ვერიკოს თავისი თემა აქვს ხელოვნებაში, მას ყოველთვის აღელვებენ სულით მაღალი, კეთილშობილი, წმინდა გულის ადამიანები. მის მიერ წარმოდგენილი ქალთა სახეები ქმნიან თავისებურ, ნაზ, კეთილშობილურ და რომანტიკულად შეფერადებულ სამყაროს.

ვერიკო ჭეშმარიტი ტრაგიზმის, მაღალი დრამატიული დიაპაზონის შემოქმედია, მაგრამ მისი ნიჭის გაქანება მხოლოდ ამ სახის როლებით როდი იფარგლება. მაღალტრაგიკული როლების გვერდით მან ბევრი საინტერესო და მხატვრულად სრულყოფილი კომედიური და სახასიათო როლი შექმნა. ასეთებია, მაგალითად, ამერიკელი ქალი — დ. შენგელაიას «თეთრებში», დარეჯანი — ი. მოსაშვილის «მის ვარსკვლავში», მირანდოლინა—კ. გოლდონის «სასტუმროს დიასახლისში» და ა. შ.

ვერიკო ანჯაფარიძის, როგორც მსახიობის, ფორმირებაზე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა. მან იმთავითვე აუღო ალღო ვერიკოს ნიჭს და ფართო გზა გაუხსნა ხელოვნებაში.

ვერიკო ანჯაფარიძემ თავიდანვე მოიპოვა წარმატება მარჯანიშვილის მიერ განხორციელებულ დადგმებში, მაგრამ მისმა თავისებურმა აქტიორულმა ნიჭმა საერთო აღიარება ოფელიას როლში ჰპოვა.

ქართული თეატრის ისტორიაში საეტაპო მოვლენა იყო კ. მარჯანიშვილის მიერ უდიდესი რეჟისორული ნიჭითა და ნოვატორობით დადგმული სპექტაკლი «ურიელ აკოსტა». ამ სრულყოფილ შემოქმედებითს ანსამბლში მძლავრად ჟღერდა ვერიკოს ივდითის ტრაგიკული ხმა...

მისი ივდითისათვის უცხო იყო მელოდრამატიული მგრძნობელობა. იგი ჭეშმარიტი რომანტიზმითა და ტრაგიკული პოეზიის სუნთქვით იყო გამთბარი.

ბევრჯერ გაიმარჯვა ვერიკომ ამის შემდეგ სცენაზე, ბევრი სიხარული აგრძნობინა მაყურებელს. მის მიერ შექმნილ სახეთა გალერეაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მარგარიტა გოტიემ. უბრალო, საკმაოდ სუსტი მელოდრამა ნიჭიერმა მსახიობმა ტრაგიზმითა და შთამგონებელი ძალით აღსავსე სპექტაკლად აქცია.

რამდენი რამ დაიწერა ვერიკოს მარგარიტაზე. ბევრმა შეასხა მსახიობს ხოტბა, და მართლაც, ამ როლში მთელი სიმძლავრით, სრულყოფილად გამოჩნდა ვერიკოს მთელი არტისტული შესაძლებლობა. მან დიდი შემოქმედებითი გაქანებით გვიჩვენა ქალის ტრაგედია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. შექმნილი სცენიური სახე წარმოადგენდა მგზნებარე პროტესტს ამ საზოგადოების პირფერული, ცრუ მორალის წინააღმდეგ.

არაერთხელ აღუნიშნავთ, თუ როგორი ვირტუოზულობით წარმოგვიდგენს ვერიკო სიკვდილის სცენას. ამ შემთხვევაში მსახიობს სიკვდილის კლინიკური სურათი და ნატურალისტური დეტალები როდი იტაცებს. მართალი და პოეტურია მისი მარგარიტას სიკვდილი; როგორც ქარიშხლის მიერ გადატეხილი თეთრი შროშანი, ისე კვდება მისი ოფელია; ამაყი

**„მოძღვარი“.** მაყვალა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირული და ბედს მინდობილია მარიამ სტიუარტი, სასოწარკვეთილია და შეუდრეკელი კლეოპატრა. და ყველა ამ როლში ვერიკო ყოველთვის განუმეორებელი და თავისებურია.

ღრმა ლირიზმით არის გამთბარი ვერიკოს მიერ განსახიერებული ლარისას სახე ა. ოსტროვსკის «უმზითვოში». როგორც ცნობილია, ამ როლს რუსულ სცენაზე სრულყოფილად ანსახიერებდა სახელგანთქმული მსახიობი ქალი ვერა კომისარჟევსკაია, რომელსაც ხშირად ადარებენ ხოლმე ვერიკოს. ამ როლს ქართველმა მსახიობმა ქალმა თავისი საკუთარი გადაწყვეტა მისცა.

უ. შექსპირის «ანტონიოს და კლეოპატრაში» ვერიკოს მიერ შექმნილმა ეგვიპტის დედოფლის სახემ მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეპოქის ღრმა ცოდნა, ფართო ინტელექტუალური ჰორიზონტი, დიდი სცენიური კულტურა—ყოველივე ეს საფუძვლად დაედო კლეოპატრას როლის წარმატებას. მსახიობი დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით გადმოგვცემს ქალისა და დედოფლის სულიერ ტრაღედიას.

ასეთივე დიდი წარმატებით განასახიერა ვერიკომ მეორე დედოფალი—შილერის მარიამ სტიუარტი, დიდი პოეტურობა და შინაგანი მღელვარება ჩააქსოვა მის სახეში. ვერიკოს მარიამი ვნებათა ღელვას აყოლილი, ცოდვილი ქალია, მაგრამ ამასთან ერთად, იგი გვიტაცებს ქალური სინატიფით, გულკეთილობითა და კეთილშობილებით.

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ვერიკო ანჯაფარიძემ ბებიას როლის შესრულებით კასონას პიესაში «ხეები ზეზეულად კვდებიან».

მისი ეუხენა დიდი ჰუმანიურობითა და ხასიათის მთლიანობით გამოირჩევა. მსახიობი შესანიშნავად ახერხებს გვიჩვენოს მოხუცი ქალის უძლურება, ავადმყოფური სისუსტე და ამასთან, გვაგრძნობინოს მისი ხასიათის სიმტკიცე, ესპანელი ქალის ამაყი და უკომპრომისო ბუნება.

ჭეშმარიტი ტრაღიზმითაა მოცული სპექტაკლის უკანასკნელი სცენა: ეუხენას გამოთხოვება ცხოვრებასთან. ეს სცენა ღრმა ემოციურ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე.

ყოველი შემოქმედის მნიშვნელობა, მისი ადგილი მშობლიურ ხელოვნებაში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეროვნულია მისი შემოქმედება.

ვერიკოს მიერ შექმნილ სახეთა შორის ცოტანი არიან ქართველი ქალები. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ფატი, ქრისტინე, მაყვალა, გინატრე, ანო, მზევინარი, მზეთვალა, ჯავარა .. ბევრი არ არის ეს სახეები, მაგრამ ყოველი მათგანი ჭეშმარიტად ეროვნული კოლორიტის მატარებელია, ყოველ მათგანში ვერიკომ ქართველი ქალის გრძნობა და სურვილი, მისი სული ჩააქსოვა. ამიტომაა, რომ ქართული თეატრის მკვლევარი დ. ჯანელიძე მის გინატრეს ბექა ოპიზარის ფაქიზ ნახატს ადარებს.



„ურიელ აკოსტა". ივდითი·

არაერთი მაღალმხატვრული სახე შეუქმნია ვერიკო ანჯაფარიძეს ეკრანზე. მისი სახელი სამუდამოდ შევიდა ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში.

ვერიკოს მადლმოსილმა ნიჭმა კიდევ ერთი ახალი მხარე გვიჩვენა—რა კარგად იცნობს თურმე მსახიობი უბრალო ქართველ ქალს. სადა, უბრალო, მძიმე ცხოვრებისაგან დაღლილი და განაწამები, მაგრამ შეუდრეკელი და ამაყია ვერიკოს ოთარაანთ ქვრივი. იგი ქართველი მშრომელი ქალის ხასიათის სიმტკიცის, შრომისმოყვარეობის, მაღალი ადამიანური ღირსების, სიკეთისა და ღრმა დედობრივი გრძნობების განსახიერებაა.

ვ. ანჯაფარიძე სავსეა შემოქმედებითი ძალითა და ენერგიით. იგი დიდ საზოგადოებრივ შრომას ეწევა, დედობრივი მზრუნველობით ეხმარება ახალგაზრდა მსახიობებს, ხელმძღვანელობს თეატრს, რომელიც მისი დიდი მასწავლებლის—კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებს, აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში.

როცა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი მოსკოველი მაყურებლის წინაშე წარსდგებიან, მათ შორის ვერიკო ანჯაფარიძეც იქნება. ჩვენს ვერიკოს წინ ახალი გამარჯვებებით სავსე გზა უდევს. მისი მარადუჭკნობი ნიჭი კიდევ ბევრ სიხარულს მოგვანიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოლენი.



გუსტავ ლეფრანსე.



გ. ლეფრანსეს მეუღლე.

პარიზის კომუნა მე-19 საუკუნის II ნახევრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო. ფრანგი კომუნარების იდეებმა, მათმა გმირულმა ბრძოლამ, კომუნის დამცველთა ტრაღიკულმა ბედმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე.

მოწინავე ქართველი საზოგადოება უდიდესი თანაგრძნობით შეხვდა პარიზელ მუშათა გამოსვლებს. ი. ჭავჭავაძემ ამ დიდ მოვლენას მიუძღვნა თავისი ცნობილი ლექსი «1871 წლის 23 მაისი» («პარიზის კომუნის დაცემის დღე»). ა. ფურცელაძემ—მოთხრობა «ვაი, მართალთა» და სხვ. გაზეთი «დროება» სისტემატურად აქვეყნებდა კომუნის ცხოვრებისა და ბრძოლის საინტერესო სურათებს.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომუნის ამბებმა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდებზე.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში ქალებს არ ჰქონდათ სწავლის უფლება. ქართველი ქალები უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ, უმთავრესად შვეიცარიაში მიემგზავრებოდნენ. პირველი ქართველი სტუდენტი ქალები იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მთარგმნელები, პედაგოგები—ოლღა გურამიშვილი (შემდეგში ნიკო ნიკოლაძის მეუღლე), მარიამ წერეთელი (გიორგი წერეთლის და), ეკატერინე მელიქიშვილი (შემდეგში სერგეი მესხის მეუღლე), ეფემია ელიოზიშვილი (ცნობილი ნაროდნიკის ა. ელიოზიშვილის და) და სხვები.

მუშათა შეჯახებები, სოციალისტების ლექციები, შეხვედრები რუს რევოლუციონერ-ნაროდნიკებთან, ესპანეთის რევოლუციური ამბები, პირველი ინტერნაციონალის სექციის გაცხოველებული მუშაობა—ყველაფერი ეს ძლიერ აღელვებდა ქალიშვილებს, აღვიძებდა მათში ინტერესს დასავლეთისა და რუსეთის მდიდარი პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე ცხოვრებისადმი.

შვეიცარიაში ქართველმა სტუდენტებმა შექმნეს საზოგადოება «უღელი», საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ამ საზოგადოების პროგრამა. მის ყოველკვირეულ სხდომებზე ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე (კატო) ნიკოლაძე, კეკე მელიქიშვილი გამოდიოდნენ მოხსენებებით ევროპის რევოლუციათა ისტორიის საკითხებზე, ეცნობოდნენ სოციალისტურ მოძღვრებებს, კითხულობდნენ მუშათა გაზეთებსა და პროკლამაციებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ქალიშვილები პარიზის კომუნისადმი. მათ შეიტყვეს, რომ ჟენევაში ცხოვრობდნენ კომუნარები, რომლებიც ვერსალელების სისხლიან შურისძიებას გაექცნენ ან რეაქციულმა მთავრობამ გააძევა. ქალიშვილები გაეცნენ გუსტავ ლეფრანსეს, ელიზე რეკლიუს, მონტელს, მონტეგიუს, შოლენს და ბევრ სხვას, ამ დროიდან საფუძველი დაედო მათს ხანგრძლივსა და გულწრფელ მეგობრობას.

თავის მხრივ, კომუნარებიც ღრმა სიმპათიით განიმსჭვალნენ შორეული საქართველოდან ჩამოსული ქალიშვილების მიმართ, რომლებმაც კომუნის იდეების უკეთ გაგების მიზნით სპეციალურად შეისწავლეს საფრანგეთის ისტორია.

კომუნარები შვეიცარიაშიც განაგრძობდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და ყოველგვარი ღონისძიებებით ეწეოდნენ კომუნის იდეების პოპულარიზაციას. ყველგან, სადაც კი გამოდიოდნენ, მათ ხვდებოდა მსმენელთა ანთებული თვალები.

ქართველი ქალები ესწრებოდნენ ბანკეტებს, რომელთაც შვეიცარიელი მუშები აწყობდნენ კომუნარების პატივსაცემად, უსმენდნენ კომუნარების გამოსვლებს პირველი ინტერნაციონალის ჟენევის სექციაში, ხვდებოდნენ კომუნარებს მეგობრებთან, იწვევდნენ მათ თავიანთ სახლში.

ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ სტუდენტებზე ელიზე რეკლიუს ლექციებმა და გუსტავ ლეფრანსეს გამოსვლებმა.

მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, გეოგრაფი და ენთოგრაფი ელიზე რეკლიუ კომუნის ერთერთი აქტიური მონაწილე იყო. ის ვერსალელებმა დაატყვევეს. მთავრობამ რეკლიუს კუნძულ ახალ კალედონიაზე გადასახლება მიუსაჯა, სადაც ათასობით კომუნარი იღუპე-

# პარიზის კომუნარების
# ქართველი მეგობრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ინგლისის უდიდეს მეცნიერთა ჩარევამ (რომელთაც სათავეში ჩარლზ დარვინი ედგა) აიძულა მთავრობა განაჩენი შეეცვალა. ელიზე რეკლიუ საფრანგეთიდან განდევნეს. იგი შვეიცარიაში გადასახლდა, სადაც კვლავ მეცნიერულ მუშაობასა და პოლიტიკურ ბრძოლას განაგრძობდა.

თავის მოგონებებში ოლღა გურამიშვილი დიდი სითბოთი გვიამბობს მგზნებარე კომუნარის, დიდი ორატორისა და პოლემისტის ლეფრანსეს შესახებ.

გუსტავ ლეფრანსესთან ქალიშვილებს გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდათ. იგი, როგორც კომუნის ერთერთი წინამძღოლი, მისი საბჭოს წევრი, ახალგაზრდებში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

ლეფრანსეს მოკვლისათვის საფრანგეთის მთავრობამ პრემია დანიშნა. მისი მეგობრები უამბობდნენ ქალიშვილებს, თუ როგორ დახვრიტეს ვერსალელებმა სამი ადამიანი, რომლებიც სახით ლეფრანსეს ჩამოგავდნენ.

ლეფრანსე ჟენევაში პირველი ინტერნაციონალის სექციას ხელმძღვანელობდა, რომლის სხდომებს შაბათობით ესწრებოდნენ ოლღა გურამიშვილი, მარიამ წერეთელი, ეკატერინე ნიკოლაძე.

ლეფრანსემ თავისთან მიიწვია ქართველი სტუდენტი ქალები, გააცნო თავისი მეუღლე, რომელიც აგრეთვე კომუნის მონაწილე იყო. ის უამბობდა ქალიშვილებს საბარიკადო ბრძოლების, თავისი მეგობრების შესახებ, რომელთაგან ერთმა, ეჟენი პოტიემ მას მიუძღვნა თავისი ცნობილი ლექსი «ინტერნაციონალი».

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები მძიმე მატერიალურ პირობებში ცხოვრობდნენ, როცა მათ კომუნარ მონტელსის ოჯახის გაჭირვების ამბავი გაიგეს, შეეცადნენ სამუშაო ეშოვნათ მონტელსისათვის. ოლღა გურამიშვილის დახმარებით მონტელსი მიწვეულ იქნა კორფის ოჯახში საფრანგეთის რევოლუციური წარსულის თემებზე ლექციების წასაკითხად.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი. მონტელსის ვაჟი, რომელსაც ო. გურამიშვილი ჯერ კიდევ ოთხი წლის ასაკიდან იცნობდა და შემდეგში გამოჩენილი მათემატიკოსი გახდა, 1930 წელს ხარკოვში მათემატიკოსთა საკავშირო კონგრესზე შეხვდა ოლღა გურამიშვილის ვაჟს—მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ნიკოლაძეს.

მალე კორფების ვილა საინტერესო დისპუტების ადგილად იქცა... კომუნარებთან და რუს ნაროდნიკებთან ერთად შეკრებებზე თამამად გამოდიოდნენ ახალგაზრდა ქართველი ქალები და აღტაცებაში მოჰყავდათ მსმენელები თავიანთი მომზადებითა და ორიგინალური აზრებით.

იმ დღეების სამახსოვროდ ლეფრანსემ ქართველ მეგობრებს მიართვა საფრანგეთის მთავრობის მიერ აკრძალული ლ. ბლანის წიგნი—«საფრანგეთის რევოლუციის ისტორია».

1874 წელს ქართველმა ახალგაზრდობამ ჟენევაში თავისი კონგრესი მოიწვია, რომელზეც ცდილობდნენ დაესახათ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გზა. საპატიო სტუმართა შორის ლეფრანსეც იყო. მან დიდი აღფრთოვანება განიცადა, როცა კონგრესის გახსნისას თავმჯდომარემ დამსწრეებს სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ კომუნის დაღუპულ გმირთა ხსოვნისათვის.

პირველი ინტერნაციონალის ჟენევის სექციის სხდომებზე ქართველი სტუდენტი ქალები ხვდებოდნენ მოხუცს, რომელსაც ყველა «მამა გაიარს» ეძახდა. ეს იყო საფრანგეთის ორი რევოლუციის მონაწილე, კომუნის ერთერთი სექციის ხელმძღვანელი პერ გაიარი.

საქართველოში გამომგზავრების წინ კომუნარებმა ქალიშვილებს თავიანთი პორტრეტები აჩუქეს.

კომუნარებთან მეგობრობამ ბევრი რამ შესძინა ქართველ ქალიშვილებს. სამშობლოში ისინი დაბრუნდნენ პირველი პროლეტარული რევოლუციის მოღვაწეებისადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალულნი.

**ლიუდმილა გორიაგინა.**

**ხურათები ამოღებულია ოლღა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის არქივიდან.**



# ვერა შუბლაძე

ნახატი მანანა ბობოხიძისა

ამ დღეებში საბლიტგამმა გამოსცა პოეტი ქალის ვერა შუბლაძის ლექსების კრებული.

ვერა შუბლაძე დაიბადა 1913 წლის 8 მარტს ს. გეზათში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

მისი პირველი ლექსი 1930 წელს გაზეთ «ახალგაზრდა კომუნისტში» დაიბეჭდა, ხოლო ლექსების პირველი კრებული ქართველმა მკითხველმა 1938 წელს მიიღო.

საბჭოთა საქართველოს, მის დიდებულ სინამდვილეს უმღერდა პოეტი. ლამაზ სტრიქონებში აქსოვდა ქართველი ქალის ნაგრძნობსა და ნააზრევს... მისი ფიქრი და ოცნება თავს დასტრიალებდა ჩვენს სიხარულსა და მომავალს—ჩვენს ბავშვებს. «გაზაფხულის ყვავილებს» უწოდებდა მათ ვერა შუბლაძე და მისი «გაზაფხულის სიმღერაც» მათ ეკუთვნოდა.

უდროოდ ჩაქრა პოეტის სიცოცხლე, 1957 წლის 31 ივლისს ქ. თბილისში გარდაიცვალა ვერა შუბლაძე.

## ჩემო მხარევ

ვის არ ჰხიბლავს ათასფერად,
გადაშლილი შენი არე,
ვის არ ამკობს მინდორ-ველად
სიოს ქროლვა მონარნარე!

გამარჯვებულთ ლხენის ხმები
ვის არ ატკბობს, არ ახარებს,
მზიურ ცეცხლით ანთებულო,
საყვარელო ჩემო მხარევ!

ვის არ ატკბობს შენი ლხენა,
შენი ზეცა—ლურჯთვალება,
შენი შვება, აღმაფრენა
და სიცოცხლის ნეტარება!

მზიურ ცეცხლით ანანთებო,
შენით ვცოცხლობ, შენ მახარებ,
მინდორ-ველო, მწვანე მთებო,
საყვარელო ჩემო მხარევ!..

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე პაშა ციცხვაია ეთათბირება აქტივს საშეფო სკოლის კეთილმოწყობაზე.



ხახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მუშაკთა როფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ფეოდოსია გეგეშიძე.



«პროფკავშირთა მუშაობის დონის ამაღლება დაბეჯითებით მოითხოვს კადრების დაწინაურებისა და აღზრდის ძირეულ გაუმჯობესებას. უწინარეს ყოვლისა გამოცდილი, ინიციატივიანი მუშაკებით უნდა განვამტკიცოთ პროფკავშირთა საბჭოები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, უფრო გაბედულად ჩავაბათ ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალი ძალები მუშებიდან, ქალებიდან და ახალგაზრდობიდან.»

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან).

ფოტო შ. გოქაძისა

საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც მშრომელთა აღზრდის ნამდვილ სკოლას წარმოადგენენ, დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების განხორციელების საქმეში, აერთიანებენ და რაზმავენ მასებს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად; ისინი ეხმარებიან პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს მუშათა კლასიდან სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრების გამოზრდასა და დაწინაურებაში, პროფკავშირებს დიდი წვლილი შეაქვთ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საქმეში. აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები, მათ რიგებში გაერთიანებული მშრომელები, ქალები.

პროფკავშირის წევრ ქალთა რიცხვი რესპუბლიკაში 350 ათას აღწევს. მრავალი ქალი ხელმძღვანელ პროფკავშირულ პოსტებზე—საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარედ მუშაობს: მაგალითად, 1.730 ქალი საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებს უძღვება, 2.640 ქალი პროფორგანიზატორია. 300-ზე მეტი ქალი საქართველოს პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების შემადგენლობაშია არჩეული. ისინი პროფკავშირის წევრებს რაზმავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.



სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ლორთქიფანიძე.



საფეიქრო და მსუბუქი მრეწველ
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლი
კომიტეტის თავმჯდომარე ელენე
თაძე სამსახურიდან დაბრუნების შე
თვალყურს ადევნებს შვილების მეც
ნეობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონური ხუმორესკები

## სამართლიანი ბრძენი

ერთმა მდიდარმა საფულე დაკარგა, რომელშიც 200 იენი ჰქონდა. იგი გზაზე გამვლელმა ღარიბმა იპოვა და მოსამართლეს ჩააბარა.

რამდენიმე დღის შემდეგ მდიდარი მოსამართლესთან მივიდა და თავისი საფულეს შესახებ გამოჰკითხა.

— ეს ხომ არ არის?—შეეკითხა მოსამართლე და მის საფულეზე მიუთითა.

— დიახ, დიახ, სწორედ ესაა,—დაუდასტურა მდიდარმა და მის ასაღებად წაიწია.

— არა, მოითმინე, საფულეს წაღებას ნუ ჩქარობ,—უთხრა მოსამართლემ,—ჯერ მპოვნელს მადლობა უნდა გადაუხადო.

მდიდარმა ღარიბი მადლობის ღირსად არც კი ჩასთვალა. მან გადაწყვიტა აბუჩადაც აეგდო იგი. საფულე გახსნა და ფულს თვლა დაუწყო.

— აქ მხოლოდ 200 იენია,—თქვა მდიდარმა,—ჩემს საფულეში კი 220 იენი იყო, ამ კაცს ჩემთვის 20 იენი მოუპარავს.

— არა, ეს არ არის მართალი,—თქვა ღარიბმა,—იქ სულ 200 იენი იყო. მე სხვისი ფული არ წამიღია.

— სტყუის,—თქვა მდიდარმა,—მე ვამტკიცებ, რომ საფულეში ნამდვილად 220 იენი იყო.

ასე იდავეს და ვერაფერზე შეთანხმდნენ. მაშინ მოსამართლემ ურჩია ბრძენთან წასულიყვნენ. ბრძენმა მოუსმინა სამივეს, შემდეგ მდიდარს მიმართა:

— შენ დაკარგე საფულე, რომელშიც 220 იენი იყო, არა?

— დიახ,—უპასუხა მდიდარმა.

— რადგან ამ საფულეში 200 იენია, ის შენი არ ყოფილა,—თქვა ბრძენმა,—ეტყობა ის ვიღაც სხვას დაუკარგავს. რადგან მისი პატრონი არა ჩანს, ის მპოვნელს მივცეთ. შენ კი მოძებნე შენი საფულე, რომელშიც 220 იენი გქონდა.

## სიძუნწე

ცხოვრობდა ორი ძუნწი მეზობელი. ერთხელ ერთმა მათგანმა გაუგზავნა მეორეს თავისი მსახური ჩაქუჩის სათხოვნელად.

— რანაირ ლურსმნებს აჭედებთ, რკინისას თუ ხისას?—ჰკითხა მეზობელმა მასთან მისულ მსახურს.

— რკინისას,—უპასუხა მან.

— ჰოო, რკინისას?—გაიმეორა მეზობელმა, თავი მოიქექა, შეწუხებული სახე მიიღო და განაგრძო:—გადაეცი შენს პატრონს, რომ ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩაქუჩი ამჟამად არა მაქვს სახლში, ჩემს ძმას ვათხოვე.

მსახური უკან დაბრუნდა და პატრონს ყველაფერი უამბო.

— არიან ასეთი ძუნწი ადამიანები!—აღშფოთებით წამოიძახა მან.—დარწმუნებული ვარ, რომ მას დაენანა თავისი ჩაქუჩი. რაღა გაეწყობა, ისევ ჩემი უნდა ვიხმარო!

## ბალახი მიოგა

სოფლის სასტუმროში ღამის გასათევად მოხეტიალე ვაჭარი მივიდა. მან იატაკზე საქონლის ფუთა დადო და დიასახლისს ვახშამი შეუკვეთა.

ვაჭარს არც თუ ისე ბევრი საქონელი ქონდა, სულ რამდენიმე გროშისა, მაგრამ ხარბმა დიასახლისმა მაინც გაიფიქრა:

„კარგი იქნებოდა ხელში ჩამაგდებინა მაგისი საქონლის ფუთაო“.

სანამ ის სამზარეულოში ვახშამს ამზადებდა, ეს ფიქრი არ ასვენებდა. ბოლოს ქმარს გაანდო:

— ჩვენთან მოხეტიალე ვაჭარი მოვიდა. კარგი იქნებოდა მისი საქონლის ფუთა ხელში ჩაგვეგდო.

— მაგაზე ადვილი რაღაა,—უპასუხა ქმარმა,—საჭმელის დროს შეაპარე მას ბალახი მიოგა. ვინც ამ ბალახს შესჭამს, უთუოდ ყოველთვის რაღაც დაავიწყდება, და აბა მოხეტიალე ვაჭარს სხვა რა უნდა დაავიწყდეს თუ არა თავისი საქონელი?

დიასახლისი ასეც მოიქცა: მოკრიფა ბალახი მიოგა და იგი სტუმარს საჭმელში შეაპარა. ვაჭარმა ივახშმა, დიასახლისს მადლობა გადაუხადა და თავის ოთახში დასაძინებლად წავიდა.

მეორე დღეს ადრე დილით სტუმარმა სასტუმრო დასტოვა, დიასახლისი კი გაღვიძებისთანავე სტუმრის ოთახში შევარდა, დარწმუნებული, რომ იქ საქონლით სავსე ფუთას იპოვიდა, მაგრამ ფუთა არ აღმოჩნდა.

— აი, შე სულელო!—დაუწყო მან ქმარს ლანძღვა.—აბა რას მომატყუე ბალახი მიოგას სასწაულმოქმედების შესახებ. ვაჭარს აზრადაც არ მოსვლია საქონლის ფუთის დავიწყება.

— სულერთია, თუ ნივთი არ დავიწყნია, სხვა რაღაც მაინც დაავიწყდებოდა,—დარწმუნებით წარმოთქვა ქმარმა.

— არაფერიც არ დავიწყნია,—ცხარობდა დიასახლისი.

— შეუძლებელია! — გული მოუვიდა ქმარს.—აბა კარგად მოიგონე?

დიასახლისი დაფიქრდა, რა შეიძლებოდა დავიწყნოდა ვაჭარს.

უცბად მან თავში ხელები წაიშინა და დაიყვირა:

— დაავიწყდა! დაავიწყდა!

— აი ხომ ხედავ,—უთხრა გამხიარულებულმა ქმარმა,—აკი გეუბნებოდი... რა დაავიწყდა?

— ფულის გადახდა დაავიწყდა, აი რა, ჩერჩეტო ბებერო! — უპასუხა საშინლად აღშფოთებულმა ცოლმა.

## უტექსტო ხუმრობა



თემა გიორგი ჩიქობავასი.
ნახ. გივი კასრაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ბეფსტროგანი

500 გრამი ძროხის ხორცის რბილი ნაჭერი ან სუკი გაასუფთავეთ ძარღვებისა და სიმსუქნისაგან. დაჭერით პატარ-პატარა მოგრძო, თხელ ნაჭრებად, დაბეგვეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი. წვრილად დაჭრილი 3 თავი ხახვი მოხრაკეთ 3 სუფრის კოვზ ერბოში, ჩაუმატეთ დაბეგვილი ხორცი და მოხრაკეთ, შემდეგ მოაყარეთ ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი და კიდევ მოხრაკეთ 2—3 წუთი, აურიეთ შიგ $^{3}/_{4}$ ჩაის ჭიქა არაჟანი და 2—3 წუთი ადუღეთ. ამნაირად მომზადებული ხორცი გადმოიღეთ ლანგარზე, შემოუწყვეთ 1 კილოგრამი შემწვარი კარტოფილი და მოაყარეთ დაკეპილი ოხრახუში.

## კარტოფილი მოშუშული ხახვითა და სტაფილოთი

გასუფთავებული 3 თავი სტაფილო დაჭერით საშუალო ოდენობის ნაჭრებად, 2 თავი ხახვი—წვრილად, დაყარეთ ტაფაზე, მიუმატეთ 2 სუფრის კოვზი ცხიმი და მოშუშეთ, შემდეგ დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი ტომატი-პიურე და კიდევ რამდენიმე წუთს განაგრძეთ მოშუშვა.

აიღეთ 1 კილოგრამი კარტოფილი, გაასუფთავეთ, გარეცხეთ, დაჭერით და მოათავსეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაფაროს, შემდეგ მიუმატეთ მოშუშული სტაფილო, ხახვი, დაფნის ფოთოლი, პილპილი (მარცვალი) და მარილი გემოვნების მიხედვით. ქვაბს სახურავი დაახურეთ და შუშეთ 25—30 წუთი.

სუფრაზე მიტანისას მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.

## შემწვარი სოკო ხახვით

გაასუფთავეთ და გარეცხეთ ერთი თავი ხახვი, დაჭერით და შეწვით 1 სუფრის კოვზ ცხიმში. ასევე გაასუფთავეთ, გარეცხეთ და დამდუღრეთ 500 გრამი სოკო, დაჭერით, მოაყარეთ მარილი, შეწვით 1—2 სუფრის კოვზ ცხიმში და შემწვარ ხახვში აურიეთ.

სუფრაზე მიტანისას მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში ან კამა.

სურვილისამებრ ამ კერძთან ერთად შეიძლება შემწვარი კარტოფილის მიტანა.

## კომბოსტოს ფხალი

ერთი კილოგრამი კომბოსტო მოხარშეთ ისე, რომ გაწურვის შემდეგ ერთ მთლიან მასად გადაიქცეს. დანაყეთ 100 გრამი ნიგოზი, ნიორი და წიწაკა (გემოვნების მიხედვით) და გახსენით $^{1}/_{3}$ ჭიქა ძმარში, მიუმატეთ 1—2 ცალი ბროწეულის მარცვალი და აურიეთ გაწურულ კომბოსტოში. თეფშზე გადმოღების შემდეგ კომბოსტო გაასწორეთ და თავზე მოასხით გამოხდილი ნიგვზის ზეთი.

## პრასის ფხალი

ერთი კილოგრამი პრასა მოხარშეთ ისე, რომ არ გადაიხარშოს, გაავლეთ ცივ წყალში, გაწურეთ ფრთხილად, რომ არ დაიშალოს, კარგად დანაყეთ ერთად 150 გრამი ნიგოზი, 4—5 კბილი ნიორი და ნახევარი ჩაის კოვზი ზაფრანა. ცალკე დანაყეთ 50 გრამი ქინძი და პილპილი (გემოვნების მიხედვით). დანაყილი ნიგოზი ზეთის გამოხდის შემდეგ სხვა სანელებლებთან ერთად გახსენით $^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა ღვინის ძმარში. მოხარშული პრასი სათითაოდ ამოავლეთ დამზადებულ ნარევში, დაახვიეთ რგოლებად. სუფრაზე მიტანისას გადაასხით გამოხდილი ზეთი.

# იცით თუ არა თქვენ, რომ...

**...მ ე ო რ ე  მ ს ო ფ ლ ი ო  ო მ მ ა 22 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 34 მილიონამდე კაცი კი დაიჭრა და დამახინჯდა?**

**ამ ომის მიერ შთანთქმული სახსრებით შესაძლებელი იყო დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ოჯახისათვის 5-ოთახიანი სახლის აგება და კიდევ დარჩებოდა თანხა იმისათვის, რომ ყველა ქალაქში, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 5 ათას კაცს აღემატება, გახსნილიყო ახალი საავადმყოფო, რომლებიც 10 წლის მანძილზე უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველა აუცილებელი მოწყობილობით.**

**... ი მ  ს ა ხ ს რ ე ბ ი თ, რომლებიც სჭირდება ერთი საესკადრო ნაღმოსნის აგებას, შეიძლება აშენდეს სახლი სამი ათასზე მეტი ოჯახისათვის?**

**... ს ა შ უ ა ლ ო  ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა ადამიანის სიცოცხლისა საბჭოთა კავშირში რევოლუციამდელ რუსეთთან შედარებით ორჯერ გადიდდა?**

**... ს ა ბ ჭ ო თ ა  კ ა ვ შ ი რ ი ს  ს კ ო ლ ე ბ შ ი სწავლება მიმდინარეობს 60 სხვადასხვა ენაზე?**

**... უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი  ა თ ი  წ ლ ი ს  მ ა ნ ძ ი ლ ზ ე სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი თითქმის ორჯერ გადიდდა. ჩვენში არ არის მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი დარგი—მედიცინიდან დაწყებული ატომგულის ფიზიკამდე—სადაც ქალებს არ ეკავოთ პასუხსაგები თანამდებობანი?**

**... ს ა ბ ჭ ო თ ა  ა ნ ტ ა რ ქ ტ ი კ უ ლ  ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა შ ი 1956 წელს მონაწილეობდა 14 ქალი. ასეთი მოგზაურობა ქალებმა პირველად შეასრულეს ისტორიაში?**

**... ა თ ა ს ო ბ ი თ  კ ი ლ ო მ ე ტ რ ი გაიარა მონღოლეთისა და ჩინეთის უდაბნოებში გასული საუკუნის ბოლოს მამაცმა რუსმა მოგზაურმა ქალმა ალექსანდრა პოტანინამ? მიმდინარე წლის თებერვალში 115 წელი შესრულდა ცენტრალური აზიის ამ ცნობილი მკვლევარი ქალის დაბადებიდან.**

## ჟურნალ № 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

**ჰორიზონტალურად:** 5. არტერია. 6. ნაგლინი. 8. ფტივაზიდი. 11. გენუა. 14. ბათქი. 15. არაბეთი. 16. ნიანგი. 17. ბორანი. 21. პაროდია. 22. პაქტი. 23. ენოტი. 26. დისტროფია. 27. სილნიში. 28. კრატერი.

**ვერტიკალურად:** 1. არქიმედი. 2. დიეტა. 3. კანტი. 4. ანტრაქტი. 7. მარაბუ. 9. დუბლიკატი. 10. კარანტინი. 12. ურუგვაი. 13 ეთიოპია. 18. კოალიცია. 19. პოკერი. 20. სატაცური. 24. რიქშა. 25. კიპრი.

გარეკანის პირველ გვერდზე—საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ვ ე რ ი კ ო  ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

**ფ ო ტ ო  დ. დ ა ვ ი დ ო ვ ი ს ა**

**გარეკანის მეორე გვერდზე—«ს ა მ ა ი ა» (სადეკადო აფიშა). მხატვარი მ ე რ ა ბ  შ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი.**

**გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.**

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.**

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3—30—57.

ტირაჟი 15.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 231 უე 00780

საქ. კპ. ც-კის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

**Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали", Издательство ЦК КП Грузии.**

# მოდები







ამასწინათ საქართველოს მოდელების სახლს გამოცდილების გაზიარების მიზნით ეწვია საკავშირო მოდელების სახლის ბრიგადა. სადემონსტრაციო დარბაზში მოსკოველებმა აჩვენეს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის ტანსაცმლის 180-მდე მოდელი.

ამ სეზონის მოდები მკვეთრად განირჩევა წინა წლების მოდებისაგან. ახალი მოდელები სადა ფორმებითა და მოხდენილობით ხასიათდება. ჩამოტანილი მოდელებიდან 60-მდე უკვე დაინერგა მასობრივ წარმოებაში და სულ მალე მიიღებენ საქართველოს მშრომელები.

1. ტანზე გამოყვანილი გამოსასვლელი კაბა შალის ქსოვილისაგან, შარფით, მთლიანი სახელოებით.

2. გამოსასვლელი ანსამბლი ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილისაგან.

3. კოსტუმი ბუკლისებური ქსოვილისაგან.

4. პალტო დრაპისაგან. სახელოები უკან მთლიანია, წინ — რეგლანი, დიდი საყელო ამშვენებს ამ მოდელს. ღილები ქსოვილის ფერთან შეხამებულია.

5. გამოსასვლელი კაბა კრეპდეშინისაგან, კოფთა-ფიგაროთი.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.







ეროვნული ბიბლიოთეკა